საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

№ 2920182 22/ 11 2016 წ.

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“
ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს
ბატონ დიმიტრი ავალიანს
მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის N27

ბატონო დიმიტრი,

თქვენი N283 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შსს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებით სტატისტიკური ანგარიშის მომზადება შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში წარმოებს იუსტიციის სამინისტროსთან კოორდინირებით შექმნილი ერთიანი ელექტრონული სტატისტიკური მოდულის მეშვეობით საანგარიშო წლის ყოველი მომდევნო თვის დასაწყისში (მაგ. იანვრის თვის სტატისტიკური მონაცემების ანგარიშის მომზადება ხდება თებერვლის თვის დასაწყისში). ყოველთვიური სტატისტიკა ასახავს კონკრეტული თვის საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულის მონაცემებს, ხოლო კუმულატიური - კონკრეტული პერიოდის (საანგარიშო წლის იანვრის თვიდან კონკრეტული თვის ჩათვლით, მაგ., იანვარ-თებერვალი, იანვარ-მარტი და ა.შ.) ბოლოსთვის არსებული რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულის სტატისტიკას.

აქვე გაცნობებთ, რომ ერთიანი სტატისტიკური მოდულის რეგისტრირებული დანაშაულის ანგარიში არ ითვალისწინებს კონკრეტულ პერიოდში რეგისტრირებული დანაშაულის გახსნის მაჩვენებლის სხვადასხვა პერიოდების მდგომარეობით ასახვას, მაგ.: იანვარ-მარტის რეგისტრირებული დანაშაულის ანგარიში ასახავს ამავე პერიოდში გახსნილი დანაშაულის მაჩვენებელს, ხოლო შემდგომ პერიოდში გახსნილი დანაშაულის მაჩვენებელი აისახება შესაბამის კუმულატიურ მონაცემებში (მაგ: თუ დანაშაული გაიხსნა აპრილში - იანვარ-აპრილის მონაცემებში, თუ მაისში - იანვარ-მაისის მონაცემებში და ა.შ.).

თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მითითებული პერიოდის ანგარიშში ასახული იქნება ასევე ამავე პერიოდში ჩადენილი და რეგისტრირებული დანაშაულებიც.

რეგისტრირებული დანაშაული, რომელიც საანგარიშო პერიოდში გახსნილი არ არის, აღნიშნული საანგარიშო პერიოდის მდგომარეობით, ითვლება გაუხსნელად.

ამავდროულად, გიგზავნით ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი რაიონული დანაყოფების მიერ რეგისტრირებული დანაშაულის ცალკეულ სტატისტიკურ მონაცემებს.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,
შსს ადმინისტრაციის
საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსი გიორგი სახოკია

0114, თბილისი, გ.გულუას ქ.10 ; ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (+995 32) 2411005
10, .G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.:(+995 32) 2411068 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის სტატისტიკისა და მონაცემთა მართვის სამმართველოში არსებული ცალკეული სტატისტიკური მონაცემები					
ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი რაიონული დანაყოფების მიერ რეგისტრირებული დანაშაული					
სსკ მუხლები		2015 წ.		2016 წ. იანვარ-სექტემბერი	
		სულ რეგისტრირებული	გახსნილი	სულ რეგისტრირებული	გახსნილი
დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (მ. 108-116)		**310**	**55**	**269**	**53**
მათ შორის	განზრახ მკვლელობა მ. 108	**22**	**16**	**31**	**23**
	განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში მ. 109	**6**	**3**	**6**	**5**
	მკვლელობის მცდელობა მ. 19-108	**29**	**25**	**21**	**20**
	მკვლელობის მცდელობა მ. 19-109	**10**	**9**	**2**	**2**
	თვითმკვლელობამდე მიყვანა მ. 115	**207**	**0**	**174**	**1**
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება მ. 117		**75**	**55**	**59**	**42**
ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება მ. 118		**96**	**32**	**71**	**41**